



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ექთნის თანაშემწე
2	პრატიკა დასახელება	სასწავლო პრაქტიკა
3	პრაქტიკის ხანგრძლივობა	1 კრედიტი-25 საათი, 16 კრედიტი - 400 საათი, 13,3 კვირა, აქედან პრაქტიკული მუშაობა - 380 სთ, გამოცდა - 20 სთ.
4	პრაქტიკის შინაარსი	სასწავლო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს ექმნება სასწავლო გარემოში პირობები თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ქმედებაში გადასატანად და სავარჯიშოდ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მან პაციენტის საწოლთან პრაქტიკის გავლამდე უნდა შეიძინოს თავისი კვალიფიკაციის შესაფერისი უნარები სიმულირებულ გარემოში. პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ხდება სხვადასხვა სირთულის დაავადებების მომცველი კონკრეტულ შემთხვევა-მაგალითებზე მუშაობა, მოვლისათვის აუცილებელი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენება.
5	მიზანი	სასწავლო პრაქტიკის მიზანია პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული თემატიკის გაცნობიერების შემდეგ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის მისაღწევად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალებები მოვლის ძირითადი კონცეპციების, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების, აგრეთვე დაეუფლოს მოვლისათვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების სწორი გამოყენების ტექნიკას სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. მთელი სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი სიმულირებულ გარემოში თავის მეგობრებსა და ხელმძღვანელთან ერთად მუშაობის დროს სწავლობს სწორი ურთიერთობის წარმართვას პაციენტთან და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან.
6	შესწავლის წინაპირობები	კერძო სწავლებები, ასაკობრივი თავისებურებებისა და სამედიცინო მანიპულაციების შესახებ თეორიული ცოდნა.
7	სასწავლო საქმიანობა და სწავლის მეთოდები	შემთხვევა-მაგალითების განხილვა; დისკუსია; ჩვენება (დემონსტრირება); სადემონსტრაციო ოთახში, ფუნქციურ საწოლებთან მცირე, 3 -კაციან ჯგუფებში ვარჯიში (თითოეული სტუდენტი ვარჯიშობს ავადმყოფის, მომვლელის, დამკვირვებლის ამპლუაში);
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. თითოეული საკითხი ფასდება 0-4 ქულით, სულ 44 ქულა, შუალედური გამოცდა 0 - 8 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების ჩათვლით 30 ქულა.
9	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა	სათანადოდ აღჭურვილი სადემონსტრაციო ოთახი ფუნქციური საწოლებით, მოსავლელი მასალებით და დამხმარე საშუალებებით; მულიაჟები და ვიდეომასალა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

10	სწავლის შედეგები	<p>სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს:(ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; ღირებულებები).</p> <p>სასწავლო პრაქტიკის გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი მზადაა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით პაციენტის საწოლთან იმუშაოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. მან იცის მოვლის ძირითადი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით მუშაობა. მოვლისათვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების გამოყენება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით. სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით. ის შეძლებს ავადმყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლებაში ხელშეწყობას ადამიანური ღირსების შესატყვისად.</p>
11	მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მერი ვაშაკიძე - საე:თნო საქმე მობ. 995 593632285 თამარ კანთელაძე - საექთნო საქმე მობ.995 595505281 ნინო მეშვილდიშვილი - საექთნო საქმე მობ. 995 593632130 ლალი ზაუტაშვილი - საექთნო საქმე, მობ. 995 599202495</p>

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით			
სასწავლო პერიოდი (დღე)	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა
1 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 საათი	სხვადასხვა სირთულის პაციენტის მოვლის დაგეგმვა შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამედიცინოგუნდის წევრების როლების გათვალისწინებით. დოკუმენტაციის გაცნობა. პაციენტის გარემო. ფუნქციური საწოლის მუშაობის პრინციპები; საწოლის სიმაღლე, საწოლთან დგომის მანერა.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
2 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30საათი	კინესთეტიკის საფუძვლების გამოყენება მოვლის პროცესში. მომვლელის სწორი პოზიცია საწოლთან საკუთარი ზურგის დასაცავად. ვარჯიში მიმე პაციენტის საწოლში გადაადგილება. საწოლიდან სკამზე ან სავარძელზე	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		გადაჯდომა და პირიქით. საწოლიდან წამოყენების ტექნიკა, სიარულში დახმარება. კინესთეტიკის ელემენტები მოვლაში, ინტერაქცია, მოძრაობა სიმძიმეების გადანაწილებით, პაციენტის გადაადგილება საწოლში	
3 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 საათი,	ავადმყოფის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან (ნაწოლების, პნევმონიის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებები) პროფილაქტიკური მოვლითი ღონისძიებები წოლითი მდგომარეობების შერჩევა.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
4 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 სთ,	კვებაში დახმარება დარღვევების დროს. პაციენტის სწორ პოზიციაში მოთავსება. საკვების შერჩევა. გამოყოფაში დახმარება. ოყნის გაკეთების ტექნიკა, პამპერსის გამოცვლა, ჰიგიენური ღონისძიებები.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
5 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა 25 საათი შუალედური გამოცდა 5 საათი	პაციენტის ჰიგიენა. მძიმე ავადმყოფის მთლიანი და ნაწილობრივი დაბანა საწოლში. თეთრეულის გამოცვლა.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
6 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 საათი	სამედიცინო მანიპულაციები: ინექცია, შარდის ბუშტის კათეტერის, ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმასა და მოვლაში დახმარება.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
7 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება სულ 30 სთ	გარეგანი ზემოქმედებები: სახვევებისა და საფენების გაკეთების ტექნიკის შესწავლა, სამკურნალო აბაზანის მომზადება, სხვადასხვა ზეთებისა და მალამოების შეზღვევა ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის მისაღწევად	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

<p>8 კვირა</p>	<p>სამუშაო ჯგუფში მუშაობა სულ 25 სთ შუალედური გამოცდა 5 საათი</p>	<p>სასიცოცხლო მაჩვენებლებზე დაკვირვება; პულსის დათვლა, წნევის გაზომვის ტექნიკა, სუნთქვასა და ცნობიერ მდგომარეობაზე დაკვირვება ავადმყოფის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან (ნაწოლების, პნევმონიის, კონტრაქტურის, დაცემის პროფილაქტიკა) დახმარება მოძრაობაში, წოლითი მდგომარეობის სწავლება და ვარჯიში</p>	<p>„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი</p>
<p>9 კვირა</p>	<p>სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 საათი</p>	<p>მეან-გინეკოლოგიური მოვლა: ჰიგიენური მოვლა მელოგინის სპეციფიკის გათვალისწინებით, დახმარება მარტივი გინეკოლოგიური მანიპულაციების დროს. პედიატრიული მოვლა: ტანსაცმელი- შეხვევა, სხეულის მოვლა, კვება, კვების რიტმის დაცვა, კვების ტექნიკა ყოველდღიური მოვლის მეშვეობით დახმარება მოძრაობის განვითარებაში</p>	<p>„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი</p>
<p>10 კვირა</p>	<p>სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ</p>	<p>ქირურგიული მოვლა; პაციენტის ოპეაციისათვის მომზადებაში დახმარება. ჭრილობის მოვლის სპეციფიკა. სტომის, ნაწოლის, წყლულის მოვლა ენდოკრინული დაავადებებისას მოვლა. დიაბეტიანი პაციენტის მოვლა: წამლის მიღების რეჟიმის კონტროლი, ჰიგიენური ღონისძიებების თავისებურება, პაციენტის ინფორმირება</p>	<p>„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		შესაძლო გართულებების შესახებ	
11 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ	სარეაბილიტაციო მოვლა სხვადასხვა ტიპის დამბლების და ფრაქტურის დროს. ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში, წოლითი მდგომარეობების შერჩევა, დახმარება გადაადგილებაში	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
12 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ	გერიატრიული მოვლა; ხანდაზმულის მოვლის თავისებურებები. პალიატიური მოვლა; მძიმე პაციენტის მოვლა დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
13 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 საათი,	მოვლის დაგეგმვა მოვლის სხვადასხვა მოდელების განხილვა.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
14 კვირა (არასრული)	დასკვნითი გამოცდა 10 საათი		

ხელმოწერა: